№ 175 აგვისტო 19, ოთხშაბათი — 1892 — 19, ოთხშაბათი № 175


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


...ეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ... ბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქ...ას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ...ეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.


1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

**ანნა ალექსის ასული კორინთელისა, თეკლე ტატიშვილისა და პართენ და ელიაზარ კორინთელნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ქმრისას, მეორე სიძისას, ხოლო მესამენი ძმისას, **კონსტანტინე სპირიდონის ძის კორინთლისას,** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზედ. მიცვალებულს გაასვენებენ მიხეილის სამკურნალოდგან ქაშვეთის ეკლესიაში ხუთშაბათს, 20 ამ თთვისას, დილის $8^1/_2$ საათზედ. (1—1)

**მარიამ ედიშერას ასული ბერიძისა, მღვდელი იოსებ ბერიძე** და **ოლგა ილიას ასული ბერიძისა,** აუწყებენ რა გულითადის მწუხარებით ნათესავთა და ნაცნობთა მიცვალებასა პირველი მეუღლისასა, ხოლო მეორენი მამისა, მღვდლის **ილია ბერიძისას** და სთხოვენ მობძანდნენ პანაშვიდებზედ 18 და 19 აგვისტოს დილის 11 საათზედ, ხოლო საღამოს 7 საათზედ, აბას-აბადის მოედანზედ, ათონის მონასტრის სახლებში, დიდ მრუდე ქუჩაზედ. მიცვალებულის გამოსვენება ამავე სახლიგან წმ. ეკატერინეს ეკლესიაში და იქიდგან კუკიის სასაფლაოზედ 20 აგვისტოსას.

ყოველ დღე მიიღება „ივერიის“ რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

განცხადება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორისა.

მაქვს პატივი ვაცნობო მშობელთ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეთა და იმ პირთა, რომელთაც სურთ წელს შვილების მობარება, ხელ-მეორედ გამოცდა მოწაფეთა დ მისაღები ეგზამენები 26 მარიამობისთვის მაგივრად დაიწყება ენკენისთვის 15-ს და გაგრძელდება ენკენისთვის 18 რიცხვამდის. 19-ს დაიწყება სწავლა. თხოვნის მიღება საჭირო დოკუმენტებითურთ შეიძლება ენკენისთვის თხუთმეტამდის.

**გორის ანასტასიის სახელობაზედ დაარსებული დედათა პროგიმნაზია**

ამითი აცხადებს, რომ მისაღები და განმეორებითი ეგზამენი დანიშნულია 15, 16, და 17 სექტემბრისათვის, ხოლო სწავლა 18 სექტემბერს დაიწყება. (3—1)

**ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.**

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში დილით 17 აგვისტოს 1 კაცი იყო ავადმყოფი და 5 დედაკაცი. ამ დღეს აღარავინ მიუყვანიათ. მორჩა ერთი ქალი—პიჩკოვისა. დილით 18 აგვისტოს 1 კაცი იყო და 4 დედაკაცი.

მაჰმადიანთა დროებითს სახოლერო ფარდულში 17 აგვისტოს დილით იყო 2 ავადმყოფი მორჩა 1 მამადი-ალი-ხალიალ-ოღლი. 18 აგვისტოს იყო 1.

17 აგვისტოს ავად გახდნენ დ რკინის გზის ფარდულში გაიგზავნენ ანნა მალეევისა (10 წ., დიდუბე, იუდინის სახლი) და დარია დოგონინისა (10 წ., დიდუბე, სახ. პანკინისა).

სამხედრო საავადმყოფოში 17 აგვისტოს დილით 7 ავადმყოფი იყო. ამ დღეს მიიყვანეს 1 დედაკაცი—სოფიო გორიბოვისა (6 წ.); დილით 18 აგვისტოს 8 ავადმყოფი იყო.

17 აგვისტოს გარდაიცვალა ქეთევან არუთინოვისა, რომელსაც სახლში სწამლობდნენ.

გორის მაზრის უფროსი იუწყება 16 აგვისტოს: ქ. გორში 14 და 15 აგვისტოს 1 გახდა ავად, გარდაიცვალა 2, მორჩა 3, დარჩა 10; ბორჯომში 13 აგვისტოს გარდაიცვალა 1, დარჩა 4; სოფ. ახალქალაქში გარდაიცვალა 1, დარჩა 4; სოფ. ზედაქსოვრისში გარდაიცვალა 3; სოფ. ბნავისში ავად გახდა 2, მორჩა 1; სოფ. ქარელში 24 ივლისიდგან 14 აგვისტომდე გარდაიცვალა 17, მორჩა 22, დარჩა 2; სოფ. ვარიანში 12-დგან 15 აგვისტომდე მორჩა 3, გარდაიცვალა 2, დარჩა 3; სოფ. ხაშურში გარდაიცვალა 2; სოფ. ზემოჭალაში ავად გახდა 2; სოფ. კოლეთში 4 ავადმყოფია.

ბორჩალოს მაზრის უფროსი იუწყება 15 აგვისტოს: სოფ. შულავერში 7-დგან 12 აგვისტომდე ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1, მორჩა 3, დარჩა 4.

ახალციხის მაზრის უფროსი იუწყება 16 აგვისტოს: ქ. ახალციხეში 14 აგვისტოს 3 ავადმყოფი იყო, 15 აგვისტოს გახდა ავად 13, მორჩა 2, გარდაიცვალა 4, დარჩა 10. დეპეშით იუწყება იგივე 17 აგვისტოს: მთელს მაზრაში ავად არის 6, ქალაქში—4.

## ახალი ამბავი

*** 17 აგვისტოს ქალაქის საბჭოსა ჰქონდა საგანგებო კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება გამგეობისა იმ დაფასების დარჩენილის ვალის შესახებ, რომელიც ითვლება ბ-ნ მთავარ-მართებლის სახელმწიფო სასახლეზედ. ამ სასახლესა ჰმართებს დაფასების ხარჯი, პირველ იანვრიდგან 1877 წლისა 25 ოქტომბრამდე 1884 წლისა, სულ 42,000 მანეთი. კანონის ძალით, დაფასების დარჩენილს ფულზედ ქალაქის თვით-მმართველობამ უნდა გადაახდევინოს ჯარიმა თთვეში ერთი კაპეიკი მანეთზედ. ამ ანგარიშით სასახლეზედ მარტო ჯარიმა მოდის 49,000 მანეთი, ხოლო სულ ერთად 91,000 მანეთი. უმართებულესმა სენატმა გარდასწყვიტა, რომ ეს ფული ხაზინამ უნდა მისცეს ქალაქსაო, ხოლო, თუ სამართლიანი აღმოჩნდა, უნდა გამოიბაროს იმ სახელმწიფო ვალებში, რომელსაც სამხედრო მთავრობა ანგარიშობს ქალაქზედ და რომლის გამოკვლევა დღეს მინდობილი აქვს უმაღლეს მთავრობის მმართველთაო, რადგან თვით ქალაქი უარ-ჰყოფს ამ ვალებს, როგორც უკვე გასტუმრებულსაო. კავკასიის სამხედრო მთავრობამ მიჰმართა სახელმწიფოს უმაღლესს სამხედრო საბჭოს, რომ ხსენებული ვალი ქალაქისა 91,000 მანეთი გარდაეცეს კავკასიის სამხედრო უწყებას. უმაღლესმა სამხედრო საბჭომ უარი სთქვა ჯარიმის მიცემაზედ, რადგანაც ეხლა აღიძრა სამინისტროში წინადადება, რომ ხაზინას აღარ გამოართვან ქალაქებმა ჯარიმა დაფასების დარჩენილ ვალზედ, და ამის გამო გამოგზავნა მხოლოდ თავნი ვალი. ქალაქის გამგეობის აზრით, ეს გარდაწყვეტილება არ არის კანონიერი და სთხოვს საბჭოს, რომ ამან უფლება მისცეს ქალაქის მოურავს, რათა საჩივარი იქმნას გაგზავნილი უმართებულესს სენატში ამ გარდაწყვეტილებაზედ და ითხოვოს მთლად ჯარიმა, რომელიც შეჰხვდება ხსენებულს სასახლეს.

საბჭომ, მოისმინა რა წინადადება ქალაქის გამგეობისა, სთხოვა ქალაქის მოურავს, რომ ეს საჩივარი უთუოდ გაგზავნოს უმართებულესს სენატში.

კრება დაიშალა ათის საათის ნახევარზედ.

*** მას აქედ, რაც გაიმართა ხელის-მოწერა ხოლერისაგან დაზარალებულ სახლობათა სასარგებლოდ, ქალაქის გამგეობას მოუვიდა 18 აგვისტომდე სულ 5750 მანეთი და 30 კაპ. ფულად, გარდა ღვინისა და კონიაკისა, რომელიც ბევრმა შემოსწირა ავადმყოფთათვის.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 14 აგვისტოს ბაქოში გარდაიცვალა 1, ავად არის 8, სამხედრო საავადმყოფოში ავად არის 11; მთელს გუბერნიაში, გარდა ორის მაზრისა, საიდგანაც ამბავი არ მოგვსვლია, ავად გახდა 54, გარდ. 40, მორჩა 21, ავად არის 23.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 14 აგვისტოს შურაში ავად არის 14; მთელს ოლქში ავად გახდა 408, გარდ. 164, მორჩა 318, ავად არის 141.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 14 აგვისტოს მთელს გუბერნიაში ავად გახდა 57, მორჩა 18, გარდაიცვალა 28, ავად არის 101.

ყარსის გუბერნატორი იუწყება:

# ფელეტონი

## ქართველთა შორის

უებარი წამალი ხოლერისა.—კამბეჩოვანი.—ყვიზირა იაგოზედ მოხერხებული.

ერთს ჩემს ნაცნობს კაი სახლ-კარი აქვს ტფილისში. ქართველი კაცია და თანაც შეძლებული. ასეთი ქართველი ჩემს თვალში საგანგებო მოვლენაა, ამიტომ-რომ შეძლება და ქართველი საზოგადოდ მწყრალად არიან ერთმანეთთან და ვერა თავსდებიან. რაც გინდ უძლური იყოს ჩვენი თანამემამულე, ჯეირანის ფეხს გამოიბამს და გაექცევა ქონებას, თუკი მოჰკრა შორი-ახლო თვალი. ქონებაც, რასაკვირველია, სამაგიეროს უხდის ქართველს კაცს, აურბენს ხოლმე გვერდზედ და რომელსამე ჩასუქებულს ვაჭარს დააფრინდება ზურგზედ. ასე მწყრალად არიან ერთმანეთში ქართველი კაცი და ქონება. მიზეზიც იშვიათი თანხმობაა ჩემს ნაცნობსა და შეძლებას შორის, რომ მე წინ გადაველობე პირველს და არ ვუშვებდი ამ ზაფხულს ქიზიყში: იქ ხიფათი არა გიგდონ-რა-მეთქი, ცოტა წინ-დაუხედავნი არიან და შურიც იციან-მეთქი. არ გაიგონა ჩემი რჩევა და ეხლა მე ნუ-ღა დამემდურება...

შუა ხოლერობა იყო ქალაქში. ჩვენი პატივცემული მოსამართლე ილია ივანეს ძე წინამძღვარიშვილი საქებურად დადიოდა კარი-კარს და ჯარიმაში აგდებდა ყოველს სახლის პატრონს, ვისი ეზო და კარ-მიდამოც ისე დასუფთავებული არ დაჰხვდებოდა, რომ ერბო აკრეფილიყო. გაზეთებში ამოუკითხნია ჩემს ნაცნობს ასეთი დაუნდობლობა ილია ივანეს ძისა და გამოქანებულა ქალაქში—იქ უსუფთაობა არა იყოს-რა და ჯარიმა არ გადამახდევინონ, ან ციხეში არ ამომაყოფინონ თავიო. სახლ-კარი ჩინებულს ყოფაში დაჰხვედრია. მდგმურებთან გაუტარებია მთელი დღე და შუაღამისას შესულა თავისს ოთახში დასაძინებლად. მაგრამ სად არის ძილი. უცებ მოსჩვენებია ხოლერა მკვდარის ადამიანის ჩონჩხად, რომელიც ვითომც კბილებს უკრაჭუნებს. შეჰშინებია ისე, რომ მუცლის გვრემაც-კი უგრძვნია. დაუხვევნია სტომაქზედ ექვსი ზეწარი, ჩაუცვამს ზამთრის წინდები, ჩექმაზედ კალოშები და მიუმართავს ერთ გულ-მაგარ ნათესავ დედაკაცისთვის, რომელიც ცოტა მოშორებითა სდგას და იმ დროს არხეინადა სძინავს. უცებ თვალებს წამოაჰყუტავს ეს დედაკაცი, რა გაიგონებს, რომ ვიღაც კარს ურაკუნებს და კბილების ჩახა-ჩუხით ეძახის: „ვაიმე, დედავ, გიკვდები, ერთი მაინც გამომხედეო“!

— რა იყო, შვილო, შენ გენაცვალე, რა დაგემართა! ან რამ ჩამოგიყვანა ქიზიყიდგანაო? შეეკითხა, როცა დაინახა თეკლემ და კარი გაუღო ჩემს ნაცნობს.

— დღეს ჩამოველ და მაშინვე ხოლერა დამეძგერაო.

თეკლე უყურებს და ჰხედავს, რომ ჩემი ნაცნობი დევს დაჰმგზავსებია სოფელში და ჩაქინძლილებული გამოიყურება.

— შვილო, შენ ხოლერისა არა გეტყობა-რა... ალბად შეგშინებია.

— ჩქარა წამალი, თორემ ეს არის, უგემოდ გავთავდიო, იყო პასუხი.

ჰაი, კონიაკი, რომი, ბოტკინის, ინოზემცევის და სხვების კაპლები, მაგრამ კაცი თავისას არ იშლის. აუდუღეს სამოვარი, დაალევინეს ცხელი ჩაი, ჩააწვინეს ქვეშსაგებში, დაჰხურეს. კაცი სულ ოფლში იხარშება და არავითარი ნიშანი ხოლერისა არა სჩანს-რა.

— შვილო, დაიმშვიდე გულიო,—ეხვეწება მისი ნათესავი, და თანაც ფიქრმა გაუელვა—„სწორედ შეშლილაო“.

ეჭვით ავადმყოფი მაინც თავისას არ იშლის, ჰგმინავს და სტრის თავის ახალგაზდა ცოლ-შვილსა:

— ვაიმე, რაღა გეშველებათ, თქვე საწყლებო, ხომ გაგთელავთ შეუბრალებელი ქვეყანა უჩემოდ.

— შვილო, ხოლერას შენთან რა ხელი აქვს, სად არის ხოლერა, ან რაში გეტყობა?

— რას ამბობ, დედი, ხოლერა ჩემის თვალითა ვნახე.

— სადა ჰნახე? ან როგორა ჰნახავდი! ამბობენ—ხოლერა ბაცილა არისო, თვალით-დაუნახავი·

— მე-კი ვნახე-და: კბილებს აკრაჭუნებდა.

ასეთის ბოდვით გაატარა მთელი სამი საათი. თეკლემ ითმინა-ითმინა და რომ შეატყო—ბოლო აღარა აქვს ძალად ავადმყოფობასაო, არც თითონ ისვენებს და არც მე მასვენებსო, ადგა, წამოავლო ბარაქიანს ჯოხს ხელი და—ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი ამ თქვენს ეჭვიან ხოლერიანს, მანამ მიეშველებოდით.

— უი, შენი ღმერთის ჭირიმე, თეკლევ, რომ მომარჩინე! ეხლა-კი ვხედავ, რომ ხოლერა არა მჭირებია, მხოლოდ შიშზედ მომჩვენებიაო. მაშინვე წამომხტარა ეს კაცი ფეხზედ, ჩაუცვამს ტანთსაცმელი და ისე

ყარსში ავად გახდა 28, მორჩა 3, გარდაიცვალა 12, ავად არის 51.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 13—14 აგვისტოს ქუთაისში ავად არავინ გამხდარა, გარდაიცვალა 1, ავად არის 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 4, მორჩა 20, გარდაიცვალა 2, ავად არის 27.

ზაქათალის ოლქის უფროსი იუწყება: ზაქათალაში ავად გახდა 2; მთელს ოლქში ავად გახდა 21, მორჩა 18, გარდაიცვალა 16, ავად არის 83.

*** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით მკურნალი მამინოვი გაგზავნილი იქმნა ქ. ახალციხეში იქაურ საობსერვაციო სადგურის განსაგებად.

*** შაბათს, 15 აგვისტოს, უსახელო საზოგადოების ცხენის რკინის გზის ვაგონები გამოვიდა მეთერთმეტე საათზედ, რადგანაც ამ გზაზედ მოსამსახურე მეეტლე-კონდუქტორებსა და დირექციას უსიამოვნება მოსვლოდათ. ამის გამო საბჭოს დელეგატმა ცხენის რკინის გზის სამეთვალყურეოდ ბ-ნმა პაშკევიჩმა განაცხადა ქალაქის გამგეობაში, რომ კარგი იქნება ქალაქის გამგეობამა და უსახელო საზოგადოების დირექციამ ერთად გამოიკვლიონ ამ საზოგადოების მოსამსახურეთა საქმე. დირექცია გზისა ამ ერთის წლის წინად დაჰპირდა მეეტლეებს, რომ ჯამაგირს დღეში 10 კ. მოგიმატებთო, მაგრამ ეს დაპირება აქამდის არ აუსრულებიათ, პირ-იქით, თავიანთ მოსამსახურეებს სთხოვენ, რომ სუფთად და რიგიანად იყავით ჩაცმულებიო. სულ უბრალო დანაშაულის გამო მეეტლეებს აჯარიმებენ. საზოგადოებას დავთარი უნდა ჰქონდეს და ამ დავთარში იწერებოდეს ყოველი საჩივარი უბრალო მოხელეებისა, რომ საზოგადოების ყურამდე მიაღწიოს ყოველმა უსამართლობამ, მათდა მიმართ ჩადენილმა. ამას გარდა, მუშაობის დრო უნდა შეუმცირდეთ კონდუქტორებს, რომლებიც დილის ექვს საათიდგან ღამის 12 საათამდის მუშაობენ და ძალიან იქანცებიან. ურიგო არ იქნება რომ, როგორც ყორღანოვის ცხენის რკინის გზაზედ არის წესად, კონდუქტორები დღეში ორჯელ იცვლებოდნენ: ერთი მუშაობდეს 6 საათიდგან 3 საათამდის და მეორე ნაშუადღევის 3 საათიდგან თორმეტამდე. ქალაქის გამგეობამ არ ისურვა ამ საქმეში ჩარევა, რადგან პირობის ძალით ქალაქის გამგეობას ნება არა აქვს ამ გზის შინაურს საქმეებში გაერიოს. გუშინ-წინვე ქალაქის გამგეობამ დაიბარა უსახელო საზოგადოების სამმართველოს უფროსი ბ-ნი დე-გრანვუარი ამ უწესოებათა გამოსარკვევად და ბ-ნმა დე-გრანვუარმა პირობა მისცა, რომ დაუყოვნებლივ ჩამოვაგდებ წესიერებას და ვაგონები უწინდელებრ თავისს რიგზედ ივლიანო.

*** თეირანი: წარსულ კვირას, ორშაბათს, აქ ავად გახდა ხოლერით ხუთასი კაცი, რომელთაგანაც ნახევარზედ მეტი გარდაიცვალა. ერთს სასწავლებელში გარდაიცვალა 30 მოსწავლე. აგრეთვე ძალიან მძვინვარებს ხოლერა თავრიზში.

*** კავკავი: შვიდს ამ თთვისას კავკავში ერთმა ყაზანის თათრის ცოლმა დაირჩო თავი მდინარე თერგში. საბრალო სულ ორი კვირა არ იყო, რაც გათხოვდა. მიზეზი თავის დარჩობისა არავინ იცის.

კავ-კავში ხოლერა განელდა.

*** ს. ზემო-მაჩხაანი: დეკანოზბლაღოჩინმა მ. ს. ბენაშვილმა, მღ. ვ. მენთეშაშვილმა და მღ. ი. ჩახნაშვილმა გარდაიხადეს სავედრებელი ლოცვა და მრავალის ხალხის თანადასწრებით და აიაზმის სხურებით შემოუარეს მთელს სოფელს.

*** დედათა სასწავლებლებშიაც ფეხს იკიდებს თანდათან ძველი ენები. როგორც ვუწყით, მოსკოვში უკვე არსებობს სრული კლასიკური დედათა გიმნაზია ს. ნ. ფიშერისა და ამ გიმნაზიაში ძველს ენებსაც ასწავლიან. გაზ. „Кавк.“-ის სიტყვით, ტფილისში ამ წლიდგან ქ-ნს სერპინესაც მოუსურვებია თავისს სასწავლებელში ლათინურის ენის შემოღება. ქ-ნ სერპინეს დედათა გიმნაზიას ყოველივე უფლება აქვს მინიჭებული სამინისტროს გიმნაზიებისა. ქ-ნს სერპინეს გიმნაზიაში ლათინურის ენის სწავლა სავალდებულო არ იქმნება და ვინც მოისურვებს, შეუძლიან ისწავლოს.

*** ამ ჟამად ბევრი კითხულობს, სათეატრო სეზონი როგორი გვექნება ამ ზამთარსაო. აი ეხლა გაზ. „Н. О.“-ს შეუტყვია, რომ „ტფილისის არტისტულ საზოგადოებაში“ სეზონი დაიწყება 3 ოქტომბერს და პირველად წარმოადგენენ გრაფ ლ. ტოლსტოის კომედიას: „ნაყოფი განათლებისა“. ამ საზოგადოებაში დრამატიულს წარმოდგენებს გარდა, საოპერო წარმოდგენებსაც გაჰმართავენ დრო-გამოშვებით და ამისათვის დაქირავებულია მცირე მომღერალთა და მემუსიკეთა დასი. არტისტთა შორის ჯერ-ჯერობით დაქირავებულნი არიან ბარიტონი ალენნიკოვი, მეცო-სოპრანო ხოლმსკაია და ტენორი კოვალენკო. ბასსაც იშოვნიან და ამ ოთხს არტისტს გარდა მიიწვევენ აგრეთვე გალობის მოყვარულთაც.

*** 17 აგვისტოს ჯაფარ-ისმაილ-ოღლიმ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემს ძმასთან მომუშავე ორუჯი-ნამაზ-ოღლი ორთაჭალაში თევზაობის დროს მტკვარში ჩავარდა და დაირჩოო.

## ბაკურით

ამას წინად პეტერბურგის გაზეთებში დაიბეჭდა განცხადება სამხედრო სამკურნალო აკადემიისა, რომლის ძალითაც ამ აკადემიაში აღარ მიიღებენ სტუდენტებად ენა-ბლუ ყმაწვილ-კაცებს. ამ განკარგულებამ სწორედ რომ გაგვაკვირვა. ნუ თუ ენა-ბლუს არ შეუძლიან ექიმობა შეისწავლოს და მცოდნე და კეთილ სინიდისიერ ექიმად გამოდგეს?

ბლუკუნა კაცი სიყრმიდგანვე განსხვავდება სხვა ყმაწვილებისაგან. ბლუკუნა თითქმის მუდამ მკრთალი, მორიდებული, ძლიერ მგრძნობიარე და თავ-მოყვარეა. მიაბარებენ ბლუკუნას სკოლაში, მასწავლებელი ძლიერ მცირე ყურადღებას აქცევს ბლუკუნას ენის გასწორებას, ამხანაგები დასცინიან. დღითი-დღე ენა-ბლუს ნაკლულევანება თანდათან ძლიერდება. ყმაწვილს თავის ნაკლულევანებისა სცხვენიან. ამხანაგების დაცინვა სწყინს, ყველას თავს არიდებს და ამ მიზეზების გამო თავ-მოყვარეობა და გრძნობიერება სჩემდება.

ამ გვარად ბლუკუნა ყმაწვილს სკოლაში ყოფნა ხასიათს უფუჭებს. რამდენისამე წლის ვაი-ვაგლახისა, წვალებისა და ამხანაგების უსამართლოდ დაცინვის შემდეგ ბლუკუნა ამთავრებს გიმნაზიას. იმასა სურს უმაღლესი სწავლა მიიღოს, სურს ექიმობა შეისწავლოს და ამ ხელობით ემსახუროს ქვეყანას, მაგრამ ბედი აქაცა სჩაგრავს. სამხედრო-სამკურნალო აკადემია ცხვირ წინ კარს უკეტავს!

ერთის მხრივ-კი სამკურნალო აკადემია უსაფუძვლოდ არ იქცევა, რომ ბლუკუნებს არ იღებს სტუდენტებად. წარმოიდგინეთ მკურნალად აკაკი აკაკიევიჩი აკაკიევი. ავადმყოფი მკურნალისაგან რჩევას ელის და აკაკი აკაკიევიჩი-კი ისე ბლუკუნებს, რომ ადამიანი ვერას გაიგებს. ავადმყოფი მოუთმენლად ეკითხება მკურნალს, ჩემის მორჩენის იმედი გაქვს თუ არაო და აკაკი აკაკიევიჩი-კი ისევ ისე ბლუკუნებს...

ბევრსა ჰგონია, რომ ბლუკუნა კაცი ძლიერ ცოტააო. პროფესორმა სიკორსკიმ სამკურნალო დეპარტამენტის მიერ 1876—1882 წლებში შეკრებილ ცნობათა შემწეობით გამოიანგარიშა, რომ რუსეთში 833 კაცზედ 1 ენა-ბლუ მოდის თურმე. მთელს რუსეთში მცხოვრებთა რიცხვი რომ 120 მილიონად მივიღოთ, აღმოჩნდება, რომ რუსეთში 144 ათასი ბლუკუნა უნდა იყოს. მგონია, რომ ეს 144 ათასი კაცი ღირსია იმისი, რომ მთავრობამ მიაქციოს ყურადღება მათს ნაკლულევანებასა.

გერმანიაში 1886 წლიდგან დააარსეს სკოლებთან ბლუ-ენის გასასწორებელი კურსები. ამ კურსების ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 481 ბლუ მოწაფეთაგან 454 მოწაფეს (94%) სრულიად გაუსწორეს ენა და მხოლოდ 27 მოწაფემ (6%) ვერ მოიშორა თავიდგან თავისი ნაკლულევანება.

ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს მთავრობას ჩვენშიაც ყველა დიდ ქალაქში გაიმართოს კურსები ბლუ-ენის გასასწორებლად. ეჭვი არ არის, რომ ამ კურსების წყალობით ბევრი ბლუკუნა გაისწორებს ენასა და მით შეეძლება უფრო უკეთ მოიხმაროს თავისი ნიჭი და სასწავლებელში შეძენილი ცოდნა.

აბრა

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**კახეთი.** კახეთის უდარდელობა, უზრუნველობა არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, მაგრამ სიზანტე თუ არა ჰმატულობს, სიფთხილის ნიშან წყალიც ხომ, რასაკვირველია სულ არა ეტყობა-რა. დღევანდელ საჭირ-ბოროტო დროსაც რომ ადამიანს მუყაითად ყუის ბალიშზედ ეძინოს, სამუდამო მშვენიერ ძეგლად ძილის გუდა უნდა დაიმსახუროს. დღევანდელი კახეთის ყოფა სწორედ მეტის ღირსი არ არის. ბაქომ თავისი სიფხიზლე-ვაჟკაცობის ჯეროვანი ჯილდო მიიღო; გორმა ხომ გულს არ მოაკლო ბაქოს და კახეთიც დღეს თუ ხვალ ბანს მისცემს. ყველა საქმე სამების ძალზეა და აბა თქვენ მიბძანეთ, რა გასამტყუნარია ამ შემთხვევაში კახეთი? ჯერ-ჯერობით თუ კახეთი მშვიდობიანად არის (თელავის მაზრა) ეს ბუნებისა და განგების უხვი წყალობაა...

ბუნება და განგება, თორემ თუ ხალხის ზრუნვა-მეცადინეობაზედ იყოს საქმე დამოკიდებული, როგორც წინადაც, დღესაც, მომეტებული თუ არა, ნაკლები უერთ პირობა და უმოქმედობა არ არის კახეთში. ვის დაასახელებ, შინაურს თუ გარეულს, ყველა ვარსკვლავთ მრიცხველებსავით ცას შეჰყურებს, მუხლ მოდრეკილი ღმერთს შეჰღაღადებს და, იმ ერთის მენავისა არ იყოს, ხელის განძრევას არავინა ჰფიქრობს.

თვით თელავში, სოფლებშიაცაო, მოგახსენებენ, სანიტარებიც არიან, კომიტეტიც, პრედსედატელ-ვიცე-პრედსედატელ-ჩლენებით ყველა ესენი ღვთით გვყვანან, მაგრამ... დასწყევლოს ღმერთმა, ეს მაგრამი საცა არ გინდა, წამოგედება და უნებლიედ შეგაყენებს, ოცნებას თავი არ მისცეო. დიაღ, სწორედ რომ მაგრამ როცა მტერი კარს გირახუნებს, მაშინ სობრანიები და რეჩები-მნენიები-კი არ არის საჭირო, საჭიროა მოქმედება, მოქმედება სწრაფი, მოულალავი, რომ კარზედ მომდგარი მტერი კარებზევე ჩაკვდეს და ჩაითუთქოს, თორემ თუ კარის ერდოს გადმოსცდა მტერი, მაშინ გვიანღაა ცდა და მოქმედება. მით უფრო, როცა მტრის სანავარდოდ საუცხოოდ

---

გამხიარულებულან, რომ ხელმეორედ ვახშამი გაუმართავთ და დილამდე წითელის ღვინის ჯავრით გული უოხებიათ.

მეორე დღეს ჩემმა ნაცნობმა მიაბარა თავისი თავ-გადასავალი და, რა საკვირველია, ბევრი ვიცინეთ ხოლერის ამ უებარ და მისწრება წამალზედ. მაინც ამ კეთილ-გონიერმა კაცმა იმავ დილით დაანება თავი ტფილისს და მიეშველა სახლობას, გაემგზავრა ქიზიყისაკენ.

**

ეს ამბავი ანეგდოტი არ გეგონოთ. იგი ნამდვილია ისე, როგორც ნამდვილი ამბავია, რასაც ამას იქით მოგახსენებთ. დაბრუნდა ჩემი ნაცნობი ქიზიყში და უამბო ხალხს ხოლერის აქია. რადგანაც აქვე შიშმა დაიბუდა მის გულში, ამიტომ მანამ ქიზიყამდე მიაღწევდა, ისე გაუხურდა ფანტაზია, რომ გულ-წრფელად ეგონა, ვითომც ხოლერა მუსრს ავლებს ქალაქელებს და დღეში ასი კაცი გააქვთ სასაფლაოზეო. ასეთი გაზვიადებული ამბავი ჩაეტანათ ქიზიყელებს, რომელნიც დიდს საგონებელში ჩაცვივდნენ და, განა არა, კიდეც შეფუცხუნდნენ სოფლების გასუფთავების შესახებ. ჩემმა ნაცნობმა დაიჩემა თავის სოფელში სანიტარობა და ძალიან ერთგულადაც ასრულებდა ამ მოვალეობას. სოფელი, სადაც იგი ჩამოხდა, კარგა მოზრდილია, ასე რომ ზოგიერთ ქვეყანაში ქალაქობის სახელსაც დაიმკვიდრებდა, მაგრამ ქიზიყში სოფლად არის ჩათვლილი.

ხოლო მარტო სისუფთავე არ არის საკმარი სოფლისათვის, თუ ვინიცობაა აზიელი საშიში სტუმარი თავს დაუკრავს ქიზიყსა, საჭიროა ერთი ფერშალი მაინც ინაღვლოს სოფელმა და შეიძინოს წამლებიო, იფიქრა ჩემმა ნაცნობმა. გამოელაპარაკა იგი სოფელს. აღმოჩნდა, რომ მამასახლისის ხელში წლიურადა გროვდება სოფლის ნაღდი შემოსავალი, თითქმის ორასი თუმანი, და ამოდენა ფულიდგან სოფელს-კი არა ეკვრის-რა. როდესაც მამასახლისამდე მიაღწია ხმამ, რომ ქალაქელი კაცი რაღაც ცნობებსა ჰკრეფავს სოფლის შემოსავალ-გასავლის თაობაზეო, მაშინვე დაიბარა თავისთან და შემდეგი მამაშვილური დარიგება მისცა:

— შენ ჩვენის სოფლის ღვიძლი შვილი ხარ და ძალიანაც მიმაჩნიხარ. ქალაქში რომ მოვდივარ, მომიხარიან შენთან და შენი პურ-მარილიც გულში ღრმადა მაქვს ჩამარხული. ამიტომ გირჩევ—შენ შენს ქერქში იყავ და სოფელს ნუ მირევ. შემოსავალი აქვს, თუ ხარჯი სოფელს, ეგ ჩემი საქმეა და პასუხის-მგებელიც მე ვარ. თორემ კარგად არ დაგიჯდება და ახლა შენ იციო.

აქ-კი ნამდვილად დარწმუნდა ჩემი მეგობარი, ვისთანაცა ჰქონდა საქმე, და სისხლი ყელში მოადგა:

— მერე ნამუსი არა გაქვს, რომ ასეთს გაჭირვებაში ხალხს არ ახმარებ მის საკუთრებას!? მშვიდობიანობაში ჯანი და სული წაჰსვლოდა სოფლის შემოსავალს. ეხლა მაინც ისე როგორ უნდა გაიქვავო გული, რომ ცოტაოდენიც არ მიაშველო ხალხს თავისივე შემოსავალი!.. ფუი შენს კაცობას!

ამისი პასუხი იყო მათრახი, რომელმაც დაასვა წითელი დაღი არამკითხეს ზურგზედ. მაგრამ ამ შეურაცხყოფით როდი გათავდა საქმე. მამასახლისმა მოიწვია თავისი ერთგული „ინტელიგენტი“ და გაიჩარხა მთავრობის მიმართ შემდეგი „დონოსი“, რომელიც ამ დროებაში სწორედ ქვას გაჰხეთქავს: „ჩვენს სოფელში ჩამოვიდა ერთი გლეხი, რომელიც 25 წელია, რაც გადაკარგული იყო აქედგან. ყაჩაღობითა და ავაზაკობით შეუძენია ფული და ეხლა თავი მოაქვს. ამას კიდევ ვინ ინაღვლიდა, რომ სოფელს არ „აბუნტებდეს“: იძახის, ხოლერა არ არისო, მამასახლისმა მოიგონაო. ხალხი საშინლად გაალმასებულია მამასახლისის წინააღმდეგ და საფიქრებელიც არის, რომ ცუდს რასმე აუტეხს, როგორც რუსეთის სოფლებსა და ქალაქებში მოხდაო, და ამის გამო შესაძლოა ჩვენშიაც გამძვინვარდეს ხოლერაო. გევედრებით მოგვაშოროთ ეს ავაზაკი კაცი, თორემ დიდი უბედურება დატრიალდება მთელს ქიზიყშიო“.

წარმოიდგინეთ, რა შედეგი უნდა ჰქონოდა ასე ოსტატურად, დროების შესაფერად შედგენილს „დონოსს“. „დაჩაზედ“ წასულს ჩემს ნაცნობს ამოაყოფინეს თავი ციხეში სამის თთვის ვადით—ეხლაც ნუ დაიჯერებ, რომ ხოლერა არისო!..

კაცს, რომელმაც კინაღამ შიშისაგან მთავარი სული არ დალია, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ხოლერა საკუთარის თვალითა ნახა და კბილებსაც-კი უკრაჭუნებდა, ამისთანა კაცს დასწამეს—ხალხს „აბუნტებსო“, ხოლერა არ არისო. მეტი ოსტატობა არ გამოუვიდოდა ხელიდგან თვით ყვიზირა იაგოსაც-კი, რომელმაც უმანკო დეზდემონას დასწამა ქმრის ღალატი. მოდით ამას იქით და კამბეჩოვანისაკენ გაემგზავრენით საზაფხულოდ „დაჩად!“..

სანო

არის ნიადაგი მომზადებული. თუმცა გაზეთშიაც-კი აღნიშნეს, რომ ადგილობრივი პოლიცია საუცხოოდ მოქმედებსო, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ საქმის გაზვიადება მეტის-მეტია დღევანდელ ვარამის დროს. თელავის სანიტარების მოქმედებას ორი რამ აღნიშნავს. ერთი ის, რომ თელავის მოსავალში, ტფილისის მხრივ ვითომდა კარანტინია დაწესებული და მეორე, ტფილისიდან მოსულთ ხუთი დღე თავისსავე სახლში ამწყვდევენ. კარანტინი, კარბოლის სიმჟავის სხურება და ხუთი დღით სახლში დამწყვდევა-კი რას უშველის, მოსული რომ ავად გახდეს ხოლერით; თელავი ისე მშვენივრად არის მომზადებული, რომ თვით მკვიდრნიც გულს არ შეაკლებენ. თელავის სანიტარ-პოლიციელნი, უნდა მოგახსენოთ, სენთან ბრძოლა იარაღ წამლებითაც კი საჭირო არის. კახეთში და თვით თელავში საშინლად მძვინვარებს სიცხა (ფალარათობა). ამ ავადმყოფობით ხალხი მისუსტებულია და მეტის-მეტად მომზადებულია ხოლერის მსხვერპლად. მერე ვინმე ზრუნავს-კი, რომ ეს სენი მოსპოს? სრულიადაც არავინ! მხოლოდ ექიმი ბ-ნი უმიკაშვილი ყოფილა დ დაიარება სოფლებში, სადაც სიცხა მძვინვარებს და ხალხს არიგებს, ადუღებული წყალი დალიეთ და გახუხული პური სჭამეთო... მახლას!..

ი. კახელი.

---

**ქვემო-მაჩხაანი** (სიღნაღის მაზრა): ხოლერის წინააღმდეგს რაზმში კიდევ ჩაეწერნენ და გამოიღეს საწევრო ფულიც თითო მანათი: ა. შანშაშვილი, გ. დალაქიშვილი, ს. მენთეშაშვილი, ს. შანშაშვილი, ს. ყატიშვილი, კ. ნადირაშვილი, დ. პაპუაშვილი, ქ. ფაშალიშვილი, ზ. ყატიშვილი, ნ. მენთეშაშვილი, ვ. პეპანიანცი, გ. ბეროიანცი, ბ. შანშაშვილი, მღ. გ. მენთეშაშვილი, მ. მენთეშაშვილი, ი. ფავლენიშვილი, ს. ჯანყარაშვილი და ქ. ყატიშვილი. სულ 38 ქალი და კაცი ითვლება რაზმში. რაზმი სამ ნაწილად არის გაყოფილი და ბეჯითად მოქმედობს სოფლის შუა და აქეთ-იქით ნაპირებში. ერთი თითიც რომ წამოსტკივდეს ვისმე სოფელში, რაზმისაკენ მირბიან: არიქა, გვიშველეთო! თუმცა აქამდის ზოგიერთნი რაზმს ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ მალე მიჰხვდნენ მისს კაცთ-მოყვარულს მოქმედებას და რაზმის რჩევა-დარიგებას ხოლერის წინააღმდეგ ყველანი გულდაპყრობით ისმენენ და ასრულებენ. რაზმმა რამდენიმე ხოლერით ავადმყოფი მოარჩინა და არჩენს, ჯერ არავინ მოჰკვდომია სოფელში და ვნახოთ შემდეგში რა იქნება. „ი ქრისტემაც გიშველოთ, შვილო, როგორც თქვენ უნუგეშო გული დაგვინუგეშიანეთო“, გაისმის აქეთ-იქიდგან, როდესაც რაზმი მთელს სოფელს უვლის და სწამლობს, ვინც-კი ავად ხდება. უცხო კაცის რჩევა-წამალს უფრთხიან სოფლელები და თავიანთ სოფლის რაზმის წევრებს-კი გუნდ-გუნდად დასდევს ხალხი და— „ჩვენც გვასხურეთ“, ჩვენკენაც წამოდით“, „ჩვენც ჩაგვწერეთ“—გაისმის ჟივილ-ხივილი. როდესაც რომელიმე ავადმყოფი წამლის დალევას უარობს, რადგანაც უვიცს ხალხში ხმა დადის: ექიმები ავადმყოფებს ჰხოცავენო, ათი და ოცი ხმა ერთად იძახის: „დალიე ე წამალი, ესენი ჩვენი ძმა და მეზობლები არიან და, მოსაკლავად-კი არა, მოსარჩენად მოსულანო“ და სვამს ავადმყოფიც. „ვიშ, ტა-ტა-ტა-ტაო, გაისმის ხალხში: „მავან სოფლებში და კალოებზედ მავანი და მავანი ავად გამხდარა, გულები დაჰხეთქიათ, ახლო აღარავინ მისდგომია და უპატრონობით ამოხოცილან ელდა-ნაცემნიო“. „ჩვენ კალოებზედ კიდევ შანშაანთ მიხაკო, აგეი მეკალოედ რო იდგა შანშაანთას, გამოუგდიათ ხაზეინებს, როცა პირის ღებინება აჰტეხია და სათივის ძირში დაულევნია სული უპატრონოდ იმ საცოდავსო“. „რას ამბობთ გეთაყვანეთ, ხოლერა-კი არა, მარტო თითიც რო წამომტკივდეს და ახლო აღარავინ მომიდგეს—ელდა გამაქრობს. მაგრამ როცა ე ჩემი ძმები და მეზობლები მეც მომხედვენ გასაჭირში, აი ეგრე მიწამლებენ და მანუგეშებენ, თვრამეტი სულთამხუთავიც ველარას დამაკლებს, იგრე გავმხნევდები ნუგეშით ამათ დანახვაზედ. მა რათ არი ნათქვამი: კაცი კაცის წამალიაო“. „იმდენი ღმერთმა თქვენც გიშველოთ და მეც მიშველოს გასაჭირში, რამდენი ადამიანიც ეხლა ქვეყანაზედ, ხოლერამ-კი არა, უპატრონობამ და შიშის ელდამ გააქრო და გაამიწა, თორემ აი მაგალითსაც მოგახსენებთ: ერთს ქალაქში ხოლერა მიდიოდა და შემოეყარა გზაში ერთი მადლიანი კაცი, ამ კაცმა ხოლერა დააყენა და უთხრა: თუ ღმერთთან ცოტამატა მადლი მიმიძღვის, ერთი თხოვნა ამისრულეო. ცოტამატა-კი არა, დიდი მადლი მიგიძღვის უფალთან და რასაც-კი მიბძანებ — აგისრულებო. მაშ რახან მაგრეა, იმ ქალაქში, საიდამაც ეხლა მე მოვდივარ და შენ მიხვალ, ხუთასამდე მეტის-მეტად უწყალო, შურიანი, ცოდვიანი დი სათოკე მდიდრები სცხოვრობენ და იმათს მეტს ნურავის მოჰკლავო. ბატონი ჰბძანდებიო, უთხრა ხოლერამ და გასწია. ერთი თთვის უკან მადლიანი კაცი უკანვე მოდიოდა, შემოეყარა გზაში გამობრუნებული ხოლერაც—და გამარჯობაო, სალამი მისცა ხოლერამ მადლიანს. გაგიმარჯოსო, უთხრა მადლიანმა, მაგრამ უპირო ჰყოფილხარო: ხუთასი დამპირდი და ათას-ხუთასი ამოგიჟლეტიაო. გეფიცები მაღლა ღმერთსა და ძირს დედამიწას, რო მე მარტო ხუთასი მოვკალ და ათასი-კი შიშმა და უპატრონობამ მოჰკლაო“. ვინ მოსთვლის კიდევ რას არ გაიგონებთ ყურებ-ნაცქვეტ ხალხში ხოლერის შესახებ. ყველა ეს ხალხისაგან შექმნილი გონივრული ლეგენდა, მისი სიტყვები და ჩვენი გამოცდილებაც შემდეგს გვეუბნება ყველას: ვინც-კი სოფლებში შეგნებულნი მოიპოვებით, დაიხსენით სასტიკის სიკვდილისაგან კეთილის სიტყვა-საქმით თქვენი უვიცი ძმა და მეზობლები კაცთ-მოყვარებისათვისო. თუ სხვაგან სოფლებშიაც მაჩხაანში შემდგარ ხოლერის წინააღმდეგ რაზმის მსგავსის რაზმის შედგენას ისურვებენ ქალნი თუ კაცნი, შეუძლიანთ იხილონ ხსენებულ რაზმის სამოქმედო პროგრამმა „ივერიის“ მე-170 ნომერში.

სოფ. ქვემო-მაჩხაანი შუაგული ბაზარია თერთმეტის სოფლისა. ამ თერთმეტს სოფელში (მაჩხაანითვე) ოცი ათასამდე სული მცხოვრებია და ამისათვის კარგი იყო სათავად-აზნაურო ბანკისაგან დანიშნული ერთ-ერთი ექიმი ქვემო-მაჩხაანში დაბინავებულიყო გარემო სოფლებში სავლელად. კახეთ-ქიზიყის ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა, სულის მღელვარება და სასოწარკვეთილება ჰმეფობდა და ჰმეფობს კიდეც შიგა და შიგ იმის გამო, რომ ავადმყოფები უზიარებლები გვეხოცება, ჩვენს მკვდართან არ გვიშვებენ სანახავად და მიცვალებულებს უალაგო-ალაგასასაფლავებენ უმღვდლოთო. „გენერალი რომ ომს გაექცეს და მღვდელი—ხოლერას, იქ კეთილი აღარ იქნებაო“, გაისმის ხალხში. კარგია კიდევ მთავრობამ ამას დროზედ მიაქცია ყურადღება და მითი დაიფარა რყევისაგან ხალხის რწმენის საძირკველი. ან რა დიდი საქმე უნდა და უნდოდა ამას: თითო მღვდელს თითო პულვერიზატორი საჭირო წამლებითურთ—და არც მწვადი დაიწვება, აღარც შამფური, თორემ მართლაც-და დიდს სასოწარკვეთილებაში ჩავარდება ხალხი, „გენერალი რომ ომს გაექცეს და ღვდელი—ხოლერას“ იმ დროს, როდესაც მაშინ არის კიდეც დიდად საჭირო „მწყემსმან კეთილმან თავითვისი დასდვას ცხოვართათვის“: ჩადგეს შიშით თავსზარდაცემულ თავის ცხვრებში, ავადმყოფი მოარჩინოს საშველის წამლით და კარგა მყოფი გაამხნევოს ნუგეშიანის სიტყვით. დიაღ, მღვდლებიც საჭირო წამლებით შეიარაღებულები უნდა დადიოდნენ ყოველ გვარ ავადმყოფებში ისო ქრისტესებურად, თორემ ერთ დროს მღვდლებს ანაფორაშიაც ველარ იცნობენ, თუმცა მღვდელს ქილოზშიაც იცნობენო, ამბობს იმ დროინდელი ანდაზა, როცა წმიდა მამანი თავს სწირავდნენ ერის კეთილდღეობისათვის.

ერთი გულზედ მოსახვედრებელი სიტყვაც. ერთი ზემო-მაჩხანელი დედაკაცი მომკვდარა ხოლერით შირაქის კალოებზედ და იქვე დაუმარხავთ მინდვრად. ამ დედაკაცს დამარხვის მეორე დღეს მოსვლია წისქვილიდგან ვაჟიშვილი, გაუგია მოამაგე დედის უზიარებლად სიკვდილი, მისი უალაგო-ალაგას დამარხვა და გულმდუღარედ უტირნია და უქვითინია ცხარე ცრემლით. შებინდებისას ლომივით გაუგლეჯნია დედის საფლავი, ამოუღია მშობლის გვამი, წამოუკიდნია ზურგზედ და გამოუწევია თავის სოფლისაკენ, რომელიც ორმოცის ვერსის სიშორეზედ მდებარეობს იმ ტყე-ღრე-კლდიან გზით, რომლითაც იმას ევლო: დარაჯებმა არ დამიჭირონო. როცა საფლავიდგან ამოღებული დედა მოეკიდნა შვილს ზურგზედ, მეძროხეები შეჰხვედროდნენ და ეთქვათ გაკვირვებით: „რაჰ ჩადიხარ, კაცო, ერთი დღის სავალზედ შენ მაგაჰ როგორ ატარებ, ხომ მოჰკვდებიო“. „მე ამან ცხრა თვე მატარა მუცლით და მე ერთ ღამეს როგორ ვერ ვატარებო“, ეთქვა მწუხარედ. „ერთგანაც არი ყარაულები წაგართმევენ და ტყუილი ჯაფა მოგივაო“. „ყარაულებიო?! მა რიღაჰთვინ მაგდია თავზე ქუდი და წელზე ხანჯალი, მოვკლავ და ზედ შავაკვდები, ვინც მე წინ დამიდგება და მოამაგე დედას უალაგო-ალაგას დამაკარგვინებსო“. ისეთის ვაჟკაცურის რიხით ეთქვა ეს სიტყვები დედის ცეცხლით გულ-დათუთქულს შვილს, რომ თითქო ცის მედგარმა დაიჭექაო. მართლაც მიეტანა და მეორე ღამეს დაემარხნა ეკკლესიასთან. ბოლოს ეს ამბავი ყველამ გაიგო და დღეს ყველა გულჩვილი და გულ-ქვა ქიზიყელი სიბრალულიანის ცრემლით იმეორებს იმის საუცხოოდ ნათქვამს სიტყვას: „ამან ცხრა თვე მატარა მუცლით და მე ერთ ღამეს როგორ ვერ ვატარებო“.

---

# რუსეთი

პეტერბურგში 9—10 აგვისტოს ავად გახდა 83, გარდაიცვალა 18, მორჩა 54.

მოსკოვში 8 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდაიცვალა 12, მორჩა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, ავად არის 2.

ასტრახანში 8 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 1, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 81, გარდაიცვალა 11, მორჩა 16.

ვლადიმირსკის გუბერნიაში 8 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2.

ვარონეჟში 8 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდაიცვალა 9, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 157, გარდაიცვალა 62, მორჩა 50.

ვიატკაში 8 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში 2—8 აგვისტოდგან ორთა შუა რიცხვით ავად ხდებოდა დღეში 377, იხოცებოდა 128 და რჩებოდა 130.

ეკატერინოსლავში 8 აგვისტოს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 91, გარდაიცვალა 35, მორჩა 34.

ყაზანში 8 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდაიცვალა 4, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 102, გარდაიცვალა 45.

კოსტრომის გუბერნიაში 7 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3.

ნიჟნი-ნოვგოროდში 9 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდაიცვალა 7, მორჩა 31; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 33, გარდაიცვალა 11, მორჩა 28.

ორლოვსკის გუბერნიაში 6—7 აგვისტოს ავად გახდა 39, გარდაიცვალა 7.

პენზაში 8 აგვისტოს ავად გახდა 36, გარდაიცვალა 11, მორჩა 31; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 33, გარდაიცვალა 16.

პერმში 8 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 4, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 5.

პოლტავის გუბერნიაში 7 აგვისტოს ავად გახდა 24, გარდაიცვალა 8.

რიაზანში 8 აგვისტოს ავად გახდა 2, მორჩა 2.

სამარაში 8 აგვისტოს ავად გახდა 13, გარდაიცვალა 6, მორჩა 29; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 172, გარდაიცვალა 91, მორჩა 65.

სარატოვში 8 აგვისტოს ავად გახდა 10, გარდაიცვალა 4, მორჩა 11; ცარიცინაში 7 აგვისტოს გარდაიცვალა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 499, გარდაიცვალა 212.

სიმბირსკში 8 აგვისტოს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 10; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 352, გარდაიცვალა 163.

ტავრიჩესკის გუბერნიაში 6—9 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდაიცვალა 3.

ტამბოვსკის გუბერნიაში 9 აგვისტოს ავად გახდა 128, გარდაიცვალა 47, მორჩა 62.

უფაში 7 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდაიცვალა 3.

ხარკოვში 8 აგვისტოს მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 198, გარდაიცვალა 88.

იაროსლავში 8 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდაიცვალა 6, მორჩა 8; ქ. რიაბინსკში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2.

ნოვოჩერკასკში 8 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდაიცვალა 1, მორჩა 8; ქ. როსტოვ-ნახჩევანში (დონისა) ავად გახდა 39, გარდაიცვალა 13, მორჩა 39; ქ. ტაგანროგში ავად გახდა 18, გარდაიცვალა 13, მორჩა 30; მთელს ოლქში ავად გახდა 950, გარდაიცვალა 458, მორჩა 343.

ეკატერინოდარში 8 აგვისტოს ავად გახდა 35, გარდაიცვალა 90; ოლქში 7—8 აგვისტოს ორთა შუა რიცხვით ყოველ დღე ავად ხდებოდა 1,221, იხოცებოდა 755.

თერგის ოლქში 8 აგვისტოს ავად გახდა 283, გარდაიცვალა 181.

ომსკში 8 აგვისტოს ავად გახდა 75, გარდაიცვალა 37; ოლქში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2; ქ. პავლოდარში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 14.

ტომსკში 8 აგვისტოს ავად გახდა 59, გარდაიცვალა 67.

ახხაბადში 5 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3; ოლქში ავად გახდა 16, გარდაიცვალა 1.

ტაშკენტში 6 აგვისტოს გარდაიცვალა 8, სხვა-და-სხვა სოფელში გარდაიცვალა 268.

— მოსკოვის გაზ. „Нов. Дня“ იუწყება, რომ შესანიშნავი მწერალი გლებ ივანეს ძე უსპენსკი მძიმედ არის სულით ავად და, ვგონებთ, უიმედოდაც, რადგან ძნელად თუ მორჩესო. თუმცა გ. ი. უსპენსკი ყველგან ცნობილი იყო და იმისი თხზულებანიც დიდად გავრცელებული, მაინც მხოლოდ კალმითა სცხოვრობდა და ქონებრივად დიდად ხელ-მოკლე იყო. ეხლა, რაკი კალმის ხმარებაც აღარ შეუძლიან, თითქმის აღარავითარი საშუალება არა აქვს არსებობისაო. საბედნიეროდ, მისის ნიჭის თაყვანისმცემლებმა და ერთმა ჟურნალმა, რომელშიაც ხშირად ჰბეჭდავდა იგი თავისს წერილებს, უსახსროდ და უშემწეოდ არ დასტოვეს სნეული მწერალი.

---

# წვრილი ამბავი

შეუძლიან თუ არა კაცს ფრენა? ფრენის მეცნიერება უკვე წვლილად არის გამოკვლეული და იმ პასუხს იძლევა, რომ არა, არ შეუძლიან და ვერც შეიძლებსო. ყოველთ უწინარეს, ცნობილია, რომ ფრინველებსა და მწერებს რამდენიც მძიმე სხეული აქვთ, იმდენი უფრო პატარა ფრთები სჭირდებათ. მაგალითებრ, სხეულის სიმძიმის კვალობაზედ რომ ვიანგარიშოთ, კოღოს ერთი სამად დიდი ფრთები აქვს პეპელაზედ, ერთი ორმოცად დიდი—მტრედზედ და ერთი ორმოც-და-ათად დიდი—წეროზედ. სამაგიეროდ, ნუ დაგვავიწყდებათ, რომ თუ სხეულის სიმძიმის კვალობაზედ ფრთები პატარავდება, აქ იმ არსების ღონესაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელსაც ფრთები ასხია. რამდენიც სხეული დიდია

და ფრთები პატარა, იმის შესაფერად ფრინველს ძალაც დიდი უნდა ჰქონდეს, რომ პაწია ფრთებით ძალუმად იმოქმედოს. ეს ძალა ანუ შრომა, ფრენაზედ დახარჯული, წვლილად არის ფრთების სიდიდ-პატარაკესა და სხეულის სიმძიმესთან შედარებით გამოანგარიშებული. მაშასადამე, ადვილად გამოსარკვევი იქნება ისიც, რამოდენი ფრთები იქნებოდა საჭირო, რომ ადამიანიშვილმა ფრენა შესძლოს, მით უმეტეს, რომ ორთა შუა რიცხვით ადამიანის ღონეცა და სხეულის სიმძიმეც ცნობილია. ადამიანი, სხეულის წონასთან შედარებით, მეტად სუსტი არსებაა (მტრედი, მაგალითებრ, ორმოც-და-თორმეტჯერ ღონიერია ადამიანზედ) და ამიტომ უშველებელი ფრთები დასჭირდება, რომ მფრინავ ცხოველთა შორის ჩაირიცხოს, სახელდობრ 14 დღიურის ოდენი ფრთები უნდა ჰქონდეს.

— პარიჟში განუზრახავთ მეგლი აუგონ იმ კაცს, რომელმაც პირველი გაზეთი დააარსა. პირველ ფრანგულ გაზეთის დამაარსებელი თეოფრასტე რენოდო ლუდენში დაიბადა 1575 წელს და სამკურნალო მეცნიერების შესწავლას მიჰყო ხელი. როდესაც უკვე ექიმობდა თავისს სამშობლო ქალაქში, მაშინ, 1620 წელს, რიშელიემ გაიხმო პარიჟში, სადაც მისის შემწეობით რამდენიმე საკეთილო დაწესებულება დაარსდა. 1831 წლის 30 მაისს მეფე ლიუდოვიკ მე-XIII რენოდოს მისცა უფლება „შეჰკრიბოს, ჰბეჭდოს და ჰყიდოს ახალი ამბები, ცნობები და მოთხრობანი იმას შესახებ, რაც მოხდა და რაც ხდება სამეფოს შინ და გარეთ“. ამავე დღეს გამოვიდა პირველი ნომერი რენოდოს გაზეთისა, რომელიც $1^{1}/_{4}$ კაპ. ჰღირდა.

— ეს არის ეხლა დაიბეჭდა და გამოვიდა სულ ახალთ-ახალი საგეოგრაფიო-სასტატისტიკო ცნობანი 1891—92 წ. ბ-ნ იურაჩეკისა. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, დედამიწაზედ სულ 232 ქალაქია ამ ჟამად 100,000 მკვიდრიანი. მილიონი მცხოვრებელია 14: ლონდონშია—$5^{6}/_{10}$ მილ., პარიჟში—$2^{3}/_{10}$, ბერლინში—$1^{6}/_{10}$, ნიუ-იორკში—$1^{6}/_{10}$, პეკინში—$1^{6}/_{10}$, კანტონში—$1^{6}/_{10}$, ტოკიოში—$1^{4}/_{10}$, ვენაში—$1^{3}/_{10}$, ჩიკაგოში—$1^{1}/_{10}$, ფილადელფიასა, სუჩაუსა, სიანგტონსა, სინგაუსა და ჩაუჩაუში თითო-თითო მილიონი მცხოვრებელია. $^{1}/_{2}$-დგან ერთ მილიონამდე მცხოვრებელი 18 ქალაქშია, 300,000-დგან 500,000-მდე — 31 ქალაქში, 200,000-დგან 300,000-მდე—39 ქალაქში და 100,000-დგან 200,000-მდე—130 ქალაქში.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად ვთხოვ გაზ. „ივერიის“ რედაქციას გამოაცხადოს შემდეგი: უფასო საჩაიეს სასარგებლოდ, რომელიც დაწესდა ხუთშაბათობით მ. დავითის ეკლესიის გალავანში ყველა მსურველისათვის, შემოვიდა შეწირულება 20 მან. შეკრებილი კნ. ნ. ლ. თარხნიშვილისაგან და 10 მან. 55 კაპ. შეკრებილი ბ-ნ სერგეი ივ. არუთინოვისაგან.

სია შემომწირველთა: კნ. მ. ივანეს ას. არღუთინსკი-დოლგორუკოვისამ 5 მ., დ. ზაქ. ასული მირზოევისამ 5 მ., ს. ლ. ერ—ვმა 3 მ., ქალბ. ჩიჩიკოვისამ 1 მ., №№ 1 მ., გრიქუროვმა 3 მ., ელ. გუკასოვმა 1 მ., პავ. გრიგორიევმა 50 კ., ლ. ყანჩაველმა 50 კ., ნ. ყანჩაველმა 50 კ., გ. ეზეკიანმა 50 კ., №№ 4 მ. 55 კ. გარდა ამ ფულისა შემოსწირეს: ნახევარ გირვანქა და $^{1}/_{8}$ ჩაი, 2 გირვანქა შაქარი და ოთხი თუნგი ღვინო, რისთვისაც გულითადს მადლობას ვუცხადებ როგორც შემკრებლებს, ისე შემომწირველთ.

ზოგნიც სხვანი დამპირდნენ შემწეობას და თუ ასე გაგრძელდა თანაგრძნობა და ყურადღება ქველ-მოქმედთა ჩემდამო დაარსებულ საჩაიეს მიმართ, მაშინ იმედი მაქვს ღარიბ ოჯახებს პოლიციის მე-2 ნაწილისას რამდენიმე გირვანქა შაქარი და ჩაი დავურიგო მუქთად.

ტფილისის მ. დავითის ეკლესიის მღვდელი
ნესტორ მაჭარაშვილი

## პეტერბურგის ბირჟა, 11 აგვისტო.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,77 | 7,80 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $155^{1}/_{4}$ | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $235^{1}/_{4}$ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | $223^{1}/_{4}$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $193^{1}/_{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀. . . . . . | $102^{1}/_{4}$ | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . . | — ,, | — ,, | $99^{1}/_{2}$ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | $102^{1}/_{4}$ | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | $99^{3}/_{4}$ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98,62 | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

**ფოთიდგ გადის:ან**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | „ |
| „ „ 2 | | |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | „ |
| „ „ „ 2 | „ | „ |
| „ „ „ 3 | „ | „ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | |
|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ „ | | |
| მე-3 „ „ „ „ | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 | „ |
| „ „ 2 „ | | „ |
| სუკი — — — | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 9 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | 6 | „ |


# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე. საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—95)

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5

2) „ჩხუბი ერთი კევრცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5

3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5

4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80

5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50

6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30

7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

## რუხი მგელი

მოთხრობა გ. წერეთლისა

ფასი სამი შაური




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
## А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ძღძლო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირასიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეი გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—28)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ.

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, | |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, | |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, | |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, | |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.